# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05


24 სექტემბერი 2014 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №85

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

**საკრებულო ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შერჩეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებები, კერძოდ:

- სოფელ დაბლაციხეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყვეტილი მონაკვეთის აღდგენა;
- სოფელ ზემოსურებში ჭალა-ქადაგაურის გზის აღდგენის სამუშაოები;
- სოფელ შუა ფარცხმაში, დობიროს უბანში მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოები;
- სოფელ ფარცხმაში "ძგიმიძგურის "ღელეზე საავტომობილო ხიდის შეკეთება;
- სოფელ ზემო ფარცხმაში წიფნარის მიმართულებით მისასვლელი გზის აღდგენა;
- სოფელ ქვენობანში საერთო საცხოვრებლის სახურავის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ შუა ამაღლებაში ქვიშნარას უბანში საავტომობილო ხიდის აღდგენა;

- სოფელ შუა ამაღლებაში ლაფრანას ღელეზე საცალფეხო ხიდის აღდგენა;
- სოფელ შუა სურებში აგაშას უბანში მისასვლელი საცალფეხო ხიდის შეკეთების სამუშაოები;
- სოფელ ხიდისთავი-ქვენობნის გზის I კმ-ში სტიქიით დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ საამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ. N4 - ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ზაალ მამალაძე*